

დადგენილება

დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, შემოღებულ იქნეს „საგზაო ნიშნები“ და „საგზაო მონიშვნები“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმსარულებელმა ორგანომ უზრუნველყოს ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი:

გია გიორგაძე

1. დაბა ჩოხატაურში განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

9 აპრილის და დუმბაძის ქუჩებზე:

ა) სატვირთო ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია (3.4- 2 ც)

ბ) მოქმედების მიმართულება (8.3.2 -1 ც)

გ) მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4- 2 ც)

დ) მთავარი გზა (2.1 -1 ც)

ე) მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა (3.24- 2 ც)

ვ) მოქმედების მიმართულება (8.3.1 -1 ც)

ზ) ბავშვები (1.24 -1 ც)

9 აპრილის, დუმბაძის და წერეთლის ქუჩებზე:

ა) ბავშვები (1.24 -1 ც)

ბ) მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4 -5ც)

გ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა აკრძალულია (3.3- 2 ც)

დ) მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა (3.24 – 1 ც)

ე) ხელოვნური უსწორმასწორობა (5.20- 2ც)

ვ) დგომა აკრძალულია (3.28- 1 ც)

ზ) დგომის ადგილი (7.4- 1 ცალი)

თ) სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი (8.6.1 -1 ც)

დუმბაძის, 9 აპრილის და ლესელიძის ქუჩებზე:

მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4- 1ც)

დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე:

ა) სატვირთო ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია (3.4 – 2ც)

ბ) მოქმედების მიმართულება (8.3.2 -2 ც)

გ) მოქმედების მიმართულება (8.3.1 – 1 ც)

დ) მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4- 5 ც)

ე) გაჩერება აკრძალულია (3.27- 3 ც)

ვ) სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი (8.6.1- 3 ც)

ზ) სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი (8.6.5- 2 ც)

თ) დგომის ადგილი (7.4- 5 ც)

ი) ავტობუსის გაჩერების ადგილი (5.16- 2 ც)

კ) მსუბუქი ტაქსის დგომის ადგილი (5.18- 1 ც)

ლ) წრიული მოძრაობა (4.3 - 3 ც)

მ) ორმხრივი მოძრაობა (1.22 -1ც)

ნ) მაძილი ობიექტამდე (8.1.2 -1 ც)

ო) ცალმხრივ მოძრაობიან გზაზე გასვლა (5.7.1- 1ც)

პ) ცალმხრივ მოძრაობიანი გზა (5.5- 1 ც)

ჟ) შესვლა აკრძალულია (3.1 -1 ც)

დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე:

ა) სატვირთო ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია (3.4 – 2ც)

ბ) მოქმედების მიმართულება (8.3.2 -2 ც)

გ) მოქმედების მიმართულება (8.3.1 – 3 ც)

დ) მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4- 4 ც)

ე) გაჩერება აკრძალულია (3.27- 1 ც)

ვ) სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი (8.6.1- 1 ც)

ზ) სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი (8.6.5- 1 ც)

თ) დგომის ადგილი (7.4- 2 ც)

ი) წრიული მოძრაობა (4.3 - 6 ც)

კ) ქვეითთა გადასასვლელი (1.23- 1ც)

ლ) ხელოვნური უსწორმასწორობა (5.20 -2 ც)

მ) ცალმხრივ მოძრაობიან გზაზე გასვლა (5.7.2- 1ც)

ნ) ცალმხრივ მოძრაობიანი გზა (5.5- 1 ც)

ო) შესვლა აკრძალულია (3.1 -1 ც)

პ) დაუთმე გზა (2.3- 1 ც)

ჟ) მთავარი გზა (2.1-1ც)

რ) ბავშვები (1.24 -3 ც)

ს) მოძრაობა პირდაპირ (4.1.1 – 1 ც)

ტ) ქვეითად გადასასვლელი (5.19.1-1 ც)

უ) ზოლზე მოძრაობის მიმართულებანი (5.15.2- 1 ც)

ფ) პირველადი სამედიცინო დახმარები პუნქტი (6.1 – 1 ც)

ქ) მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა (3.24-1 ც)

თბილისის ქუჩაზე:

ა) სატვირთო ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია (3.4 – 1 ც)

ბ) მოქმედების მიმართულება (8.3.1 – 1 ც)

დუმბაძის, 9 აპრილის და ბენდელიანის ქუჩებზე:

ა) სატვირთო ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია (3.4 – 4 ც)

ბ) მოქმედების მიმართულება (8.3.2 – 2 ც)

დ) მოქმედების მიმართულება (8.3.1 – 2 ც)

ე) მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია (2.4 -6 ც)

ვ) დგომა აკრძალულია (3.28- 4 ც)

2. დაბა ჩოხატაურში განხორციელდეს გზის საფარის ჰორიზონტალური მონიშვნები:

9 აპრილის და დუმბაძის ქუჩებზე:

ა) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.1- 206 მ)

ბ) სდექ ხაზი (1.12- 24 მ)

დ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1 -720 მ)

9 აპრილის, დუმბაძის და წერეთლის ქუჩებზე:

ა) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.1- 40 მ)

ბ) სდექ ხაზი (1.12- 60 მ)

გ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1 -440 მ)

დ) სიჩქარის იძულებითი შემცირებისთვის ხელოვნური დაბრკოლება (1.25- 10 მ)

ე) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე (1.5- 84 მ)

დუმბაძის, 9 აპრილის და ლესელიძის ქუჩებზე:

ა) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე (1.5- 200 მ)

ბ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1 -220 მ)

დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე:

ა) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე (1.5- 320 მ)

ბ) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.1 -360 მ)

გ) სდექ ხაზი (1.12-50 მ)

დ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1 -2300 მ)

ე) ყოფს საპირისპირო ან თანმხვედრი მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.11- 100 მ)

ვ) მიმართულ კუნძულს სატრანსპორტოს საშუალებათა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების ნაკადების გაყოფის ადგილზე. (1.16.1 -526 მ)

ზ) ყვითელი ხაზი , სამარშუტო სატრანსპორტო საშუალების გაჩერების და ტაქსის სადგომი (1.17- 96 მ)

დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე:

ა) მიმართულ კუნძულს სატრანსპორტოს საშუალებათა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების ნაკადების გაყოფის ადგილზე. (1.16.1 -420 მ)

ბ) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.1 -170 მ)

გ) სდექ ხაზი (1.12- 20 მ)

დ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1- 1600 მ)

ე) იძლევა გაფრთხილებას სავალი ნაწილის შევიწროების (1.19- 14 მ)

ვ) სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორობა (1.25- 10 მ)

დუმბაძის, 9 აპრილის და ბენდელიანის ქუჩებზე:

ა) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე (1.5- 90 მ)

ბ) ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (1.1 - 155 მ)

გ) სდექ ხაზი (1.12 -15 მ)

დ) ქვეითად არარეგულირებული გადასასვლელი (1.14.1- 450 მ)